ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5762716

ნომერი: AR1872134

თარიღი : 11.01.2022

გაცემის თარიღი : 14.01.2022

გაცნობის თარიღი : 14.01.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით ჯაბიძის ქ., , N26-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით ჯაბიძე , N 15 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით ჯაბიძე , N 15 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ოქროპირიძე პ/ნ 35001052365
- რუსთავი, მე-17 მკრ, კორ. 17 ბ. 59

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- ვინაიდან საკ. კოდით #01.11.10.013.214 მიწის ნაკვეთი წარმოადგენს 69.00 კვ.მ. ნაკვეთი შეუსაბამოა და საჭიროა პირველ რიგში მოხდეს ნაკვეტების გაერთიანება და შემდეგ მოითხოვეთ ღობის მშენებლობა. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ამავე ნაკვეთზე ფიქსირდება შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. საჭიროა მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა და აღარ ფიქსირდებოდეს ამონაწერში.

- წარმოსადგენია ახალი სხვადასხვა რაკურსიდან და უშუალოდ საპროექტო ადგილების არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურატები გადაღების თარიღის ფიქსაციით.

- წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურატებზე დამუსაოებული ფოტომონტაჟები დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით.

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება მილსადენი, მიწისქვეშა კომუნიკაცია, წყალანირება (საკ. კოდით #01.00.499) მესაკუთრე შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი". საჭიროა წარმოადგინოთ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ცასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

- ასევე ფიქსირდება ელექტროგადამცემი ხაზები (საკ. კოდით #01.01.734) და (საკ. კოდით #01.04.324) მესაკუთრე სააქციო საზოგადეობა "თელასი". საჭიროა წარმოადგინოთ სააქციო საზოგადეობა "თელასი"-ს მიერ გაცემული თანხმობები ჩასატარებელი სამუშაოების ტაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

- წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.